ანგარიში

ეროვნული პროფესიული საბჭოს 2011 წლის და 2012 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს კანონში "პროფესიული განათლების შესახებ" მიღებული ცვლილებებიდან და პროფესიული განათლების რეფორმის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, შესრულებული სამუშაოს ანგარიში. ჩატარდა ეროვნული პროფესიული საბჭოს 11 შეხვედრა. ეროვნული პროფესიული საბჭოს 8 შეხვედრა კი ჩატარდა 2011 წელს. მათგან 5 იყო ეპს-ს გაფართოებული შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები და სხვა დაინტერესებული მხარეები. დანარჩენი 3 შეხვედრა ჩატარდა 2012წ. პირველ ნახევარში, მათგან 2 იყო გაფართოებული, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. 2011წ. 30 მაისს ჩატარდა ეპს-ს შეხვედრა, განხილული იქნა შემდეგი საკითხები: შეხვედრაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა პროფესიული სწავლების დაწესებულებების მასწავლებლებისთვის მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის შესწორებული ვერსია. აგრეთვე საბჭოს წევრებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია რეგიონებში არსებულ კოლეჯებში ვიზიტებსა და სტანდარტთან დაკავშირებით საჯარო მოსმენების შესახებ. ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ რეკომენდაცია გაუწია მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის პროექტის დამტკიცებას სოციალური პარტნიორობის თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია. საბჭოს წევრებმა დადებითად შეაფასეს სოციალური პარტნიორობის განვითარების ტენდენცია და საჭიროდ მიიჩნიეს დოკუმენტის გამოქვეყნება ვებ გვერდზე და მასთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიების დაწყება, რაც აგრეთვე მოიცავს გაფართოებული შეხვედრების ჩატარებას სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტის განხილვის მიზნით. ხარისხის განვითარების თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა შეთავაზება მოთხოვნის ანალიზი პროფესიული სწავლების პროგრამებისთვის. 16 ივნისს ეპს-ს შეხვედრაზე, მონაწილეებმა განაგრძეს თემატური ჯგუფების ანგარიშების მოსმენა. კერძოდ, 2 განათლების ხარისხის განვითარების თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა ინფორმაცია მასზედ, თუ როგორია პროფესიული განვითარების ხარისხის განვითარების პოლიტიკა საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ; პროფესიული განათლების დაფინანსების თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა პროფესიული განათლების დაფინანსების პოლიტიკა; კარიერის დაგეგმვის თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა ანგარიში და რეკომენდაციები მასზედ, თუ როგორ უნდა განვითარდეს კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება პროფესიული სწავლების დაწესებულებებში; საბჭოს შეხვედრაზე აგრეთვე

განიხილეს პროფესიული სწავლებისთვის საინფორმაციო და სარეკლამო კამპანიები; შეხვედრაზე კიდევ ერთხელ, წარმოდგენილი და განხილული იქნა ის ცვლილებები, რომლებიც განხორციელებული უნდა იყოს პროფესიული განათლების განვითარების შუალედურ (2009-2012) სტრატეგიაში. 2011წ. 28 და 29 ივლისს ჩატარდა ეროვნული პროფესიული საბჭოს შეხვედრები. აღნიშნული შეხვედრები მთლიანად მიეძღვნა პროფესიულ სწავლებაში სოციალური პარტნიორობის განვითარებისა და გაძლიერების საკითხებს. 28 ივლისის შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს პროფკავშირებმა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ წარმოადგინეს საკუთარი შეხედულებები პროფესიული განათლების განვითარებაში სოციალური პარტნიორობის როლთან დაკავშირებით. ამავე შეხვედრაზე დამსაქმებლებმა და პროფესიულმა კოლეჯებმა წარმოადგინეს ანგარიში კოოპერაციის პრაქტიკასთან დაკავშირებით. სოციალური დიალოგის საკუთარი ხედვა წარმოადგინა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენელმა. გაფართოებულ შეხვედრაზე ეპს-ს თემატურმა ჯგუფმა წამოადგინა პროფესიულ სწავლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტი. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ყველა დაინტერესებული მხარე აქტიურად უნდა ჩაერთოს აღნიშნული დოკუმენტის განხილვასა და შესწორებაში. თემატურმა ჯგუფმა უნდა ჩაატაროს შემდგომი შეხვედრები და კონსულტაციები, უნდა მოამზადოს სოციალური პარტნიორების სპეციფიკური პასუხისმგებლობები და დოკუმენტი უნდა გახდეს უფრო მეტად ეფექტური. ეპს-ს შემდეგი გაფართოებული შეხვედრა ჩატარდა 2011წ. 29 ივლისს პროფესიულ კოლეჯში "იკაროსი". 3 საბჭოს შეხვედრას ესწრებოდნენ ეპს-ს წევრები, დამსაქმებლები, პროფკავშირების წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციების და პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. მთელი შეხვედრა დაეთმო პროფესიული განათლების რეფორმაში სამმხრივი დიალოგის როლის განსაზღვრას. კიდევ ერთხელ, წარმოდგენილი იყო მოსასმენად, სოციალური პარტნიორობის თემატური ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტი. დოკუმენტში განსაზღვრულია ყველა საკითხი, რომლებიც სავალდებულოა პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის –განსაკუთრებით, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, პროფკავშირების და დამსაქმებლებისთვის – პროფესიული განათლების შემდგომი განვითარებისთვის. შეხვედრის მონაწილეებმა გამოხატეს საკუთარი კმაყოფილება იმ ფაქტის გამო, რომ პირველად განათლების რეფორმის პროცესში, ადგილი ჰქონდა პრეცედენტს ,როდესაც სოციალური პარტნიორობის სამმა მხარემ—სახელმწიფომ, პროფკავშირებმა და დამსაქმებლებმა დაადასტურეს საკუთარი ნება ოფიციალური დოკუმენტის სახით. დოკუმენტით განისაზღვრება მათი

უფლებამოსილებები და ვალდებულებები, რათა მჭიდროდ ითანამშრომლონ პროფესიული განათლების განვითარების ყველა ეტაპზე. შეხვედრის დასასრულისას ხელი მოეწერა, პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის განმსაზღვრელ სამმხრივ შეთანხმებას. ზემოხსენებულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს: ბნ-მა დიმიტრი შაშკინმა – საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრმა; ბნ-მა ელგუჯა მელაძემ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა დაბ ნ-მა ირაკლი პეტრიაშვილმა – საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ. 2011წ. 2 ნოემბერს ეპს-ს შეხვედრაზე განხილული იყო შემდეგი დოკუმენტები: პროფესიული სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლების საბაზისო პედაგოგიური უნარ-ჩვევების ტრეინინგის მონიტორინგის შედეგები ⎪ “ EU SPSS დოკუმენტის ცვლილებები და შესწორებები” შეხვედრისას ქალბატონმა ირინე ქურდაძემ აღნიშნა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესი გრძელდება და სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად საგნობრივი ტრეინინგების ჩატარებას პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. შეხვედრისას ქალბატონმა ირინე ქურდაძემ, აგრეთვე სთქვა, რომ სამინისტრო მუშაობს პროფესიული განათლების დაფინანსების ახალ მოდელზე. 4 აგრეთვე წარმოდგენილი იყო ცვლილებები, რომლებიც შეტანილი უნდა იქნეს SPSS-ში, მე-3-ე ტრანშის პირობებში. საბჭოს წევრები და შეხვედრის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ გაუგზავნონ საკუთარი კომენტარები და შენიშვნები საბჭოს სამდივნოს. ეპს-ს შემდეგი შეხვედრა ჩატარდა 2011წ. 11 ნოემბერს. შეხვედრა იყი გაფართოებული და მას ესწრებოდნენ პროფესიული განათლების პროცესში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები. შეხვედრაზე განიხილეს პროფესიული განათლების დაფინანსების საკითხი. ბნ-მა დიმიტრი შაშკინმა – საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრმა წარმოადგინა სახელმწიფოს ხედვა პროფესიული განათლების დაფინანსებასთან დაკავშირებით – ვაუჩერებით დაფინანსების მოდელი, რომელიც უნდა იყოს სამართლიანი დაფინანსების მოდელი, რომელშიც ყველა პროფესიული განათლების დაწესებულება (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) იქნება თანაბარ მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში ადგილი ექნება პროფესიული განათლების პროგრამებში ჩართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ჯანსაღ კონკურენციას. პროფესიული განათლების დაწესებულებები დაიწყებენ ბიზნესთან დაახლოვებას და კერძო სექტორთან თანამშრომლობას, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას. მან აღნიშნა, რომ ვაუჩერით დაფინანსება იქნება ერთადერთი პრიორიტეტული პროგრამა, რომელიც იქნება სამინისტროს მიერ დამტკიცებული. მან ისაუბრა ვაუჩერების ბიუჯეტზე და დაასახელა იმ ადამიანების კატეგორიები რომლებიც მიიღებენ ვაუჩერს.: I – მოსწავლეები, რომლებმაც დატოვეს სკოლა მე-9-ე

კლასის დამთავრების შემდეგ და გადაწყვიტეს რომ მიიღონ პროფესიული განათლება; II – მოსწავლეები, რომლებმაც სრულად დაამთავრეს სკოლა – 12 კლასი და არ გაიარეს რეგისტრაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე (მოსწავლეები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ვერ მიიღებენ ვაუჩერს). III – სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, რომელთაც სურთ რომ მიიღონ პროფესიული განათლება; IV –უმუშევარი ზრდასრული მოქალაქეები, რომლებსაც უკვე აქვთ პროფესია. თუ მათ უნდათ, რომ შეისწავლონ ახალი პროფესია მათ უნდა გაიარონ IQ ტესტირება და 40% ზე მაღალი შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი მიიღებენ ვაუჩერს. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩაატარონ ფინანსური თემატური ჯგუფის შეხვედრა 16 ნოემბერს, სადაც გააგრძელებენ დაფინანსების საკითხის განხილვას. 15 ნოემბერს ჩატარდა ეპს-ს მესამე გაფართოებული შეხვედრა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში. შეხვედრას ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც. შეხვედრაზე სამინისტრომ კიდევ ერთხელ წარუდგინა SPSS დოკუმენტის (მე-3-ე ტრანშის პირობები) ცვლილებები და შესწორებები საბჭოს და მრჩეველთა საბჭოს წევრებს. აგრეთვე წარმოდგენილი იყო პროფესიული სწავლების დაფინანსების ახალი მოდელი. 2012წ. 14 თებერვალს ჩატარდა ეპს-ს მეხუთე გაფართოებული შეხვედრა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში. პროფესიული განათლების რეფორმის განხორციელების ანგარიში წარადგინა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ. აგრეთვე შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა თემატური ჯგუფების მუშაობის სამოქმედო გეგმა. შეხვედრის დროს გაიმართა დისკუსია სოციალურ პარტნიორობასთან დაკავშირებით; იმაზე თუ როგორ უნდა დაიწყონ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მჭიდრო თანამშრობლობა ბიზნესის სექტორთან. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ (GEA) აღნიშნა რომ მათ ჩაატარეს შეხვედრა დამსაქმებლების წარმომადგენლებთან, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, პროფესიულ კოლეჯ იკაროსში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წარმოადგინა პროფესიული განათლების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა და ისაუბრა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მიერ განხორციელებულ პროგრამებზე. ბოლო საკითხი რომელიც განხილული იყო 14 თებერვლის შეხვედრაზე, იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართში, ცვლილებების და დამატებების შეტანა . შეხვედრისას მონაწილეებმა გამოხატეს განსხვავებული აზრი შემდეგ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით: “პარიკმახერი” და “ხილ-ბოსტნეულის პირველადი გადამუშავება”. განხილვის შემდეგ

მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება რომ კიდევ ერთხელ მოიწვიონ დარგობრივი კომიტეტები და განიხილონ აღნიშნული კვალიფიკაციები დარგის ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. ეპს-ს შემდეგი შეხვედრა გაიმართა სამინისტროში 10 აპრილს. წარმოდგენილი იყო შემდეგი დოკუმენტები: საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №96 რეზოლუცია – პროფესიული განათლების სტუდენტის დაფინანსების წესი პირველი 3 დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სამინისტროს მიერ ნახსენები ფინანსური სამუშაო ჯგუფის მოქმედების გეგმა ვაუჩერების განაწილებასთან დაკავშირებით; პრიორიტეტული იქნებიან სოციალურად დაუცველები, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. მეორე კატეგორია არის მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს მე-9-ე კლასი, აგრეთვე მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს სკოლა(12 კლასი) და არ გააგრძელეს სწავლა უნივერსიტეტში. ადამიანებს, რომლებიც არ განეკუთვნებიან არც ერთ ზემოხსენებულ ჯგუფს, აქვთ 2 გზა: 1. თანადაფინანსება – სახელმწიფო იხდის ვაუჩერის 70% (700 ლარი) და პიროვნება იხდის 30% (300 ლარი) ან 2. პიროვნება მიიღებს ვაუჩერის სრულად (1000 ლარი) მიღების საშუალებას თუ ის ტესტირებას ზოგად უნარ-ჩვევებში. 6 მან დაამატა რომ ვაუჩერები გაიცემა მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პრიორიტეტული პროგრამებისთვის. სამინისტრომ აღნიშნა, რომ ვაუჩერებისთვის გამოყოფილის დაახლოვებით 2 მილიონი ლარი, მაგრამ პროფესიული განათლების მსურველთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, თანხა გაიზრდება პროპორციულად. 2012 წლის 8 ივნისს ეპს-ს შეხვედრა გაიმართა საქარტველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. საბჭომ განიხილა შემდეგი საკითხები: პროფესიული სწავლების დაწესებულებებში სტუდენტების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის შედეგები. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერების ტრეინინგის შედეგები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების და სსიპ პროფესიულ საგანანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების ტრეინინგის შედეგები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანება N 1055

“დასაქმების, პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მაკოორდინირებელი საბჭოს შექმნისა და რეგულაციების დამტკიცების შესახებ”

თბილისი 26.09.2014.

შეტანილ იქნას ცვლილებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 17 მარტის N261 ბრძანებაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლის, საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის 21 მუხლის შესაბამისად და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის 2014 წლის 24 სექტემბრის N718824, N720844, N719606, N719366, N721688 და N 722090 დროებითი აქტების შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეიქმნას „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მაკოორდინირებელი საბჭო“, შევიდეს ცვლილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 17 მარტის N 261 ბრძანებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ა) ქვეპარაგრაფი „ბ“ დავით ლომიძე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

(ბ) „გ“ და „დ“ ქვეპარაგრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„გ“ დავით გელაშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი

„დ“ თენგიზ შერგელაშვილი რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი

(გ) ქვეპარაგრაფი “კ” ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: “კ” გიორგი მაჩაბელი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - საბჭოს წევრი.

(დ) ქვეპარაგრაფი “მ” ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“მ” გაიოზ თალაკვაძე - სოციალური სერვისების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - საბჭოს წევრი.

(ე) ქვეპარაგრაფი “ს”-ს შემდეგ დაემატოს ქვეპარაგრაფი “ტ”. “ტ” ელგუჯა მელაძე - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი.

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში.